15 ნოემბერი, 2023 წ.

სს „კავკასრეესტრის“ (ს/ნ 211369115) დირექტორს
ბატონ მერაბ ვარდიაშვილს

ასლი: საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ დავით აბესაძეს

სს „კავკასრეესტრის“ აქციათა 57.86% (8448 აქცია) მესაკუთრე აქციონერის
სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/ნ 2011382145)

სს „კავკასრეესტრის“ აქციათა 5,47% (800 აქცია) მესაკუთრე აქციონერის
სს გალტ & თაგარტის (ს/ნ 211359206)

**განცხადება**

ბატონო მერაბ,

ჩვენ გავეცანით თქვენს მიერ 2023 წლის 9 ნოემბერს სს „კავკასრეესტრის“ ელექტრონულ პორტალზე გამოქვეყნებულ დოკუმენტაციას სს „კავკასრეესტრის“ 2023 წლის 30 ნოემბერს აქციონერთა კრების ჩატარების შესახებ.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 191-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მოგმართავთ განცხადებით დღის წესრიგში საკითხების დამატების და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებში ცვლილების შესახებ. წარმოგიდგენთ შესაბამის დასაბუთებას და თანდართულ კორექტირებულ დღის წესრიგის (დანართი 1) და სადამფუძნებლო შეთანხმების (დანართი 2) **პროექტებს:**

1) თქვენს მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგის მეორე საკითხი გადმოტანილ იქნას დღის წესრიგის პირველ საკითხად და ჩამოყალიბდეს იმავე რედაქციით:
„1. განთავსებული კაპიტალის და აქციის ნომინალური ღირებულების ცვლილების შესახებ“.

2) დღის წერიგს მეორე საკითხად დაემატოს ახალი საკითხი შემდეგი რედაქციით:
„2. სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ“.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვეულ იქნან მერაბ მემარნიშვილი (პ/ნ 01026007775) და ვახტანგ სვანაძე (პ/ნ 01024009385), სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულ იქნან მარინე გულედანი (პ/ნ 62001009100), და თეა ჯოხაძე (პ/ნ 01009003088). შესაბამისად, სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
გიორგი ლოლაძე (პ/ნ 01017015475),

მარინე გულედანი (პ/ნ 62001009100),
თეა ჯოხაძე (პ/ნ 01009003088).

**დასაბუთება:**
დღევანდელი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობით დარღვეულია ბალანსი მართვის ორგანოებს შორის, კერძოდ, მაჟორიტარი აქციონერების ჯგუფს საბჭოში არ ჰყავს არცერთი წარმომადგენელი, რაც ხელს უშლის კომპანიის ფუნქციონირების გამჭირვალობას და ხელმძღვანელი პირების ეფექტიან ზედამხედველობას. შესაბამისად, ბალანსის დაცვის მიზნით აუცილებელია საზოგადოების მაჟორიტარ აქციონერებს ჰყავდეთ სამეთვალყურეო საბჭოში თავიანთი წარმომადგენლები.
აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე განცხადებას თან ერთვის სს კავკასრეესტრის სადამფუძნებლო შეთანხმების დაკორექტირებული პროექტი.

3) თქვენს მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველი საკითხი გადმოტანილ იქნას დღის წესრიგის მესამე საკითხად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. სს კავკასრეესტრის სადამფუძნებლო შეთანხმების და წესდების დამტკიცება, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით“.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„
- დამტკიცდეს სს კავკასრეესტრის სადამფუძნებლო შეთანხმება წარმოდგენილი რედაქციით.
- შევიდეს ცვლილება დღის წესრიგზე თანდართული წესდების პროექტის 4.3. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები წესდებით და ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა – პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა, ბ, გ, დ, ე, ზ, ო და პ“ ქვეპუნქტებით და წინამდებარე წესდების 4.3.1; 4.3.2; და 4.3.5; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 75% -ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიღება კანონის შესაბამისად ხმათა უმრავლესობით“.

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცდეს წესდება.

**დასაბუთება:**
თქვენს მიერ შემოთავაზებული წესდების პროექტი ძალიან მარტივია. სრულად არ შეესაბამება ამჟამიდენლ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ნოემბრის N 791 ბრძანებას, ამასთან მასში დარეგულირებული არ არის სს კავკასრეესტრის ინდივიდუალური საკითხები/მოთხოვნები და არ პასუხობს დღევანდელ გამოწვევებს (კერძოდ, არ არის დარეგულირებული აქციონერებისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: საერთო კრების ჩატარების პროცედურა (ელექტრონული ფორმით ჩატარების შესაძლებლობა), აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს

სხდომის მოწვევის სიხშირის და ჩატარების პროცედურები, რომლებსაც კანონი სათანადოდ არ აწესრიგებს და წესდებით უნდა დარეგულირდეს).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია წესდება უნდა განახლებულიყო ფუნდამენტურად, წინამდებარე განცხადებით ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ მინიმალური და ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებების და დამატებების პროექტით.

ვინაიდან თქვენს მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტის 4.3 პუნქტი (და მისი ქვეპუნქტები) სრულად არ ფარავს ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილით აქციონერთა კრების კომპეტენციისათვის განსაზღვრულ საკითხთა სრულ ჩამონათვალს და ეხება მხოლოდ რამოდენიმე საკითხს, იქმნება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ სარეგისტრაციოდ წარდგენილ წესდებაზე ხარვეზის დადგენის საფუძველი, რადგან ის არ არის შესაბამისობაში მოქმედი ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებთან. აღნიშნული საფრთხის პრევენციის მიზნით საჭიროა:
ა) 4.3 პუნქტში გაკეთდეს მითითება ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის სათანადო მუხლზე, პუნქტზე და ქვეპუნქტებზე, ისე როგორც შემოთავაზებულია ზემოთ და რომელიც ფარავს კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს სრულად ან
ბ) 4.3 პუნქტში დაემატოს ქვეპუნქტები, რათა წესდებაში ასახულ იქნას საერთო კრების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების სრული ჩამონათვალი.

ხოლო რაც შეეხება თქვენს მიერ წარმოდგენილი წესდების პროექტის 4.3.3. პუნქტს, ის ეხება საერთო კრების კომპეტენციას „აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან", რომლის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ადგენთ 75%-იან ბარიერს, მიუხედავად იმისა, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით ამ გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილია კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა და არა 75%.
როგორც მოგეხსენებათ, წინამდებარე განცხადების ავტორები წარმოვადგენთ სს კავკასრეესტრის მაჟორიტარ აქციონერთა ჯგუფს (ჯამურად 63,33%). დღეის მდგომარეობით, მოქმედ სამეთვალყურეო საბჭოში მაჟორიტარ აქციონერს/მაჟორიტარ აქციონერთა ჯგუფს არ ჰყავს არცერთი წარმომადგენელი, უფრო მეტიც, თქვენს მიერ შემოთავაზებული 75%-იანი ბარიერით ადგილი აქვს მცდელობას მოქმედი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები (და მის მიერ დანიშნული დირექტორი) ფაქტობრივად სამუდამოდ იყვნენ წარმოდგენილნი აღნიშნულ პოზიციებზე. შესაბამისად, თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტით აპირებთ ისეთი სტანდარტის დაწესებას, რომლითაც მაჟორიტარი აქციონერები სამუდამოდ კარგავენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევისა და გადარჩევის უფლებას, რაც უკვე დღევანდელი მოცემულობით პარადოქსულად ლახავს მაჟორიტარ აქციონერთა უფლებებს, უბიძგებს პერმენენტული სასამართლო დავებისკენ და რისკის ქვეშ აყენებს საზოგადოების წარმატებულ ფუნქციონირებას.
მიგვაჩნია მართლოზიმიერად, რომ სს კავკასრეესტრის წესდების პროექტში დაწესებული ბარიერი იყოს გონივრული, აქციონერთა საუკეთესო ინტერესებზე მორგებული, რაც, მათ შორის, მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს ფორმირებაში პროპორციულობის პრინციპის

დაცვას. შესაბამისად, მართლზომიერად მიგვაჩნია აქციონერთა საერთო კრების მიერ აღნიშნულ საკითხზე („აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან") გადაწყვეტილების მისაღებად დადგინდეს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ხმათა უბრალო უმრავლესობა.

**4)** თქვენს მიერ წარმოდგენილი დღის წესრიგის მესამე საკითხი გადმოტანილ იქნას დღის წესრიგის მეოთხე საკითხად არსებული რედაქციით:
„4. 2022 წლის აუდირებული ანგარიშის დამტკიცება"

5) დღის წერიგს დაემატოს მე-5 საკითხი შემდეგი რედაქციით:
„5. სს კავკასრეესტრის 2024 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორის არჩევის შესახებ"

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„სს კავკასრეესტრის 2024 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კონპანია შპს „მოორ ეიბისი" (ს/ნ 206331691)"

**დასაბუთება:**
დღის წესრიგში არ არის მითითებული აუდიტორის არჩევის შესახებ საკითხი. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი" ქვეპუნქტის თანახმად აქციონერთა კრების კომპეტენციას წარმოადგენს „სააქციო საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ" საკითხის დამტკიცება. გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარე წელს სს კავკასრეესტრის აქციონერთა მორიგი კრება არ ჩატარებულა, სს კავკასრეესტრს არ ჰყავს არჩეული აუდიტორი. ვინაიდან კრება მოწვეულია და დღის წესრიგით გათვალისწიებულია 2022 წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამავე კრებაზე მოხდეს მომავალი სამეურნეო წლისთვის აუდიტორის არჩევა.

დამატებით, გთხოვთ უზრუნველყოთ:

ა) აქციონერთა საერთო კრების მიმდინარეობის ამსახველი აუდიო/ვიდეო ჩაწერა; და
ბ) აქციონერთა საერთო კრებაზე ნოტარიუსის დასწრება.

**დასაბუთება:**

მიგვაჩნია, რომ კრების მიმდინარეობის ამსახველი აუდიო/ვიდეო ჩაწერა და ნოტარიუსის დასწრება საჭირო და აუცილებელია კრების ოქმის მომზადებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას ოქმში კრების მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების სრულყოფილად ასახვა, ამასთან, აქციონერთა შორის არსებული უთანხმოების გათვალისწინებით, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია კრებაზე ნოტარიუსის დასწრება.

**დანართები:**

კორექტირებული დღის წესრიგი (დანართი 1)
კორექტირებული სადამფუძნებლო შეთანხმება (დანართი 2)

ნინო ქურდიანი _____

/სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი/

ირაკლი კირტავა _____
/სს „გალტ & თაგარტის“
გენერალური დირექტორი/

„დანართი 1“

სს კავკასრეესტრის აქციონერთა მორიგი საერთო კრების

## დღის წესრიგი

1. განთავსებული კაპიტალის და აქციის ნომინალური ღირებულების ცვლილების შესახებ;
2. სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ;
3. სს კავკასრეესტრის სადამფუძნებლო შეთანხმების და წესდების დამტკიცება, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
4. 2022 წლის აუდირებული ანგარიშის დამტკიცება;
5. სს კავკასრეესტრის 2023 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად აუდიტორის არჩევის შესახებ.

## რეკომენდაციები დღის წესრიგთან დაკავშირებით

1. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

   განთავსებული კაპიტალი გაიზარდოს 105 000 (ასხუთი ათასი) ლარამდე გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა დარჩეს უცვლელი
   15000 (თხუთმეტი ათასი) ცალი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1 (ერთი)
   ლარი შეიცვალოს 7 (შვიდი)
   ლარით.

2. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოდან გამოწვეულ იქნან მერაბ მემარნიშვილი (პ/ნ 01026007775) და ვახტანგ სვანაძე (პ/ნ 01024009385), სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭოში არჩეულ იქნან მარინე გულედანი (პ/ნ 62001009100), და თეა ჯოხაძე (პ/ნ 01009003088).
შესაბამისად, სს კავკასრეესტრის სამეთვალყურეო საბჭო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
გიორგი ლოლაძე (პ/ნ 01017015475),
მარინე გულედანი (პ/ნ 62001009100),
თეა ჯოხაძე (პ/ნ 01009003088).

3. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

- დამტკიცდეს სს კავკასრეესტრის სადამფუძნებლო შეთანხმება წარმოდგენილი რედაქციით

(დანართი 2).

- შევიდეს ცვლილება დღის წესრიგზე თანდართული წესდების პროექტის 4.3. პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები წესდებით და ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა – პ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა, ბ, გ, დ, ე, ზ, ო და პ" ქვეპუნქტებით და წინამდებარე წესდების 4.3.1; 4.3.2; და 4.3.5; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 75% - ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიღება კანონის შესაბამისად ხმათა უმრავლესობით".

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცდეს წესდება.

წესდების და სადამფუძნებლო შეთანხმების რეესტრში წარდგენისა და სადამფუძნებლო შეთანხმებაზე ხელის მოწერის უფლება მიენიჭოს დირექტორს მერაბ ვარდიაშვილს.

დაევალოს მერაბ ვარდიაშვილს წარადგინოს სარგისტრაციო დოკუმენტები საჯარო რეესტრში, სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

აქციონერთა კრების ოქმს და თანდართულ წესდებას, კანონის შესაბამისად, ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და ამავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ სვანაძე."

4. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით:

   დამტკიცდეს სს კავკასრეესტრის 2022 წლის აუდირებული ანგარიში.

5. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით:

სს კავკასრეესტრის 2023 წლის ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კომპანია შპს „მოორ ეიბისი" (ს/ნ 206331691)

„დანართი 2“

# სადამფუძნებლო შეთანხმება

(სააქციო საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება

*საფირმო სახელწოდება
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

**სს კავკასრეესტრი**

* საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

**Caucasian Register JSC**

* იურიდიული მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

ხელმძღვანელი ორგანო დირექტორი .
ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება (მაგ. დირექტორი, დირექტორატი, დირექტორთა საბჭო, პრეზიდიუმი და სხვა)

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

1. **მერაბ ვარდიაშვილი,** პ/ნ 01006006829, თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 23, ბინა 19.

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები
უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ საზოგადობას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად.

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი
რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

1. დირექტორი: **მერაბ ვარდიაშვილი,** პ/ნ 01006006829, თბილისი, დიღმის მასივი, Vკვარტალი, კორპუსი 23, ბინა 19.

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

mvardiashvili@kavkasreestri.ge
(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+995 599-552-495

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

## სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს წევრები

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან
(რაოდენობა)

### სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

1. გიორგი ლოლაძე (პ/ნ 01017015475) საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 21, ბინა 6
2. მარინე გულედანი (პ/ნ 62001009100) საქართველო, თბილისი, შ. ნუცუბიძის ქ. N 22, ბ.17
3. თეა ჯოხაძე (პ/ნ 01009003088) საქართველო, თბილისი, ნაფარეულის ქუჩა, N 18, ბინა 16

### კაპიტალი

*განთავსებული კაპიტალი შეადგენს **105 000** (ას ხუთი ათასი) ლარს
(განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.)

*განაღდებული კაპიტალი შეადგენს **105 000** (ას ხუთი ათასი) ლარს
(სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის განაღდებული ნაწილის ოდენობა, ანუ განთავსებული კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი.განაღდებული კაპიტალი ფულადი სახით უნდა იყოს შევსებული და იგი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 25%-ს)

## დანართი:

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს.

1. დირექტორი, მერაბ ვარდიაშვილი

..... .....

პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხელმოწერა

თარიღი: ----------